სსიპ- საქართველოს ევგენი ხარაძის სახელობის

ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის

მოვალეობის შემსრულებელს

ქალბატონ მაია თოდუას

ბიძინა კაპანაძის,

რაგული ინასარიძის,

დარეჯან ჯაფარიძის,

ვასილ კუხიანიძის,

გოდერძი დიდებულიძის,

ბიძინა შერგელაშვილის,

ბიძინა ჩარგეიშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ- საქართველოს ევგენი ხარაძის სახელობის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2020 წლის 07 თებერვლის N03-01/01 ბრძანების კანონიერების შემოწმების შესახებ

თქვენს მიერ, სსიპ- საქართველოს ევგენი ხარაძის სახელობის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ, 2020 წლის 07 თებერვლის N03-01/01 ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი მთავარი მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობაზე. ბრძანების შემადგენელი ნაწილია მისი დანართები N1, N2, N3, N4 და N5,

კომისიის შედეგებმა გამოიწვია კონკურსის მონაწილეთა (აგრეთვე ობსერვატორიის თანამშრომელთა ნაწილის) უკმაყოფილება, რის თაობაზეც ჩვენ წარმოგიდგინეთ მოსაზრებები (პრეტენზიები) წერილობით და მოგახსენებთ მადლობას, რადგან თქვენ გულისყურით მოეკიდეთ ამ საკითხს და მიმართეთ განმარტებითი ბარათით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრსა და მინისტრის მოადგილეს.

ჩვენს მოსაზრებებზე მივიღეთ კომისიის უფლებამოსილი პირის, მინდია ოკუჯავას ხელმოწერილი პასუხი წამოჭრილ პრობლემებზე და აქცენტებზე.

უფლებამოსილი პირის აღნიშნულ პასუხებში ჩვენი პრობლემური საკითხები არ იქნა ადექვატურად გაანალიზებული და პასუხგაცემული. ამ გარემოების გამო ვთვლით, რომ ჩვენს მიერ დასახელებული ხარვეზები კონკურსის ჩატარების პროცედურებზე ჯერ კიდევ საჭიროებს სათანადო რეაგირებას.

ჩვენი პრეტენზიები ძირითადად ეხება შემდეგს:

კომისიის დანიშნულება იყო გამოცხადებული ვაკანსიების დასაკავებლად წარმოდგენილი კანდიდატებიდან შეერჩია საუკეთესო. კონკურსი იყოფოდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე კომისია არჩევდა წარმოდგენილი კონკურსანტების შესაბამისობას ვაკანტურ ადგილებთან საკონკურსო პირობებით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით (ხაზს ვუსვამთ, რომ ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილება საკმარისი იყო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად), ხოლო მეორე ეტაპზე უნდა მომხდარიყო პირველ ეტაპ გადალახული კანდიდატების შერჩევა საკონკურსო ვაკანსიებზე შეჯიბრებითობის პრინციპით. პირველი ეტაპის შედეგები აჩვენებს, რომ შემდეგ ეტაპზე გადასული ყველა კანდიდატი საკონკურსო პირობებით შესაბამისობაში იყო გამოცხადებულ ვაკანსიებთან. საბოლოოდ კომისიამ ვაკანტურ ადგილზე შეარჩია მხოლოდ 5 და დანარჩენი 8 ვაკანტური ადგილი შეუვსებელი დატოვა. ამით კომისიამ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება შეერჩია 13 კანდიდატი ვაკანსიისთვის მის მიერვე დამაკმაყოფილებლად ჩათვლილი კონკურსანტისგან.

ის ფაქტი, რომ შერჩეული 5 კანდიდატიდან სამი არის ობსერვატორიის მოქმედი თანამშრომელი ხოლო 8 დარჩენილ ვაკანსიაზე ობსერვატორიის მოქმედი თანამშრომლიდან ვერ შეირჩა ღირსეული, ფაქტობრივად ნიშნავს, რომ კომისია თვლის, რომ ობსერვატორიას, რომელიც დღეს ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია საქართველოში (და სწორედ ამის გამო მოხდა მისი სსიპ-ის სახით დაფუძნების გადაწყვეტილების მიღება), არ ჰყოლია მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერები.

პრობლემაა, რომ სამწუხაროდ, როგოც ჩანს, კომისიამ შეარჩია კონკურსანტები მხოლოდ ერთი მაჩვენებლით - H-ინდექსით (ისიც ბუნდოვანი პრინციპით, ვინაიდან არსად არ ფიქსირდება თუნდაც H-ინდექსის ზღვარი, ნორმირებული ინდექსი იქნა გამოყენებული თუ არა და სხვ.). ამავე დროს აუცილებლად გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სხვა მაჩვენებლებიც, რომლებიც იყო ჩამოთვლილი კონკურსის წესში. როგორც ჩანს, საარჩევნო კომისიამ სრულიად არ გაითვალისწინა, რომ მათ მიერ არჩეული მთავარი მეცნიერი თანამშრომლები ამავდროულად ავტომატურად ქმნიან სამეცნიერო საბჭოს, რის გამოც შერჩევის ამოსავალი წერტილი უნდა ყოფილიყო სწორედ კანდიდატების მიერ წამოდგენილი **ობსერვატორიის განვითრების ხედვა**.

იგეგმება რა ობსერვატორიის მოდერნიზაცია, რთულად გვესახება, რომ მისი მთავარი მთავარი მეცნიერი თანამშრომლები (მიუხედავად მათი მაღალი სამეცნიერო რეიტინგებისა), რომლებიც ავტომატურად ხდებიან სამეცნიერო საბჭოს წევრები, უნდა სისტემატურად იყვნენ ჩართულნი ობსერვატორიის ყოველდღიურ საქმიანობაში და ერკვეოდნენ ობსერვატორიის საჭიროებებში. საკონკურსო კომისიის მიერ შემოთავაზებული კანდიდატების უმრავლესობის სამეცნიერო კვლევები არის

თეორიული ასტროფიზიკის მიმართულებით და ობსერვატორიის დაკვირვებითი ასტრონომიის მიმართულება, რაც არის მთავარი სტრატეგიული ნაწილი, პრაქტიკულად არ არის წარმოდგენილი.

შერჩეული 5 კანდიდატთაგან უმეტესობა (3) არ არის შესაბამისობაში მათ მიერ დასაკავებელი ვაკანტური ადგილისადმი დანართი 4-ის მუხლი ერთი პუნქტი 1-ის ა, ბ და გ ქვეპუნქტებით წაყენებულ მოთხოვნებთან (დარგის სხვა მიმართულებებში მათ სამეცნიერო კომპეტენციაზე პრეტენზია არ გვაქვს). ეს გარემოება შეუძლებელს ხდის მათ მომავალ ჩართულობას როგორც იმ ჯგუფის მუშაობაში, რომლის ვაკანტურ ადგილსაც იკავებენ, ასევე ზოგადად ობსერვატორიის მომავალი სამეცნიერო საბჭოს გამართულ მუშაობაში.

აღსანიშნავია, რომ კომისიის პასუხები, ბევრ შემთხვევაში, სრულიად არადამაჯერებელია. მაგ., „...კონკურსის შედეგად ვაკანტურად დარჩენილ თანამდებობაზე ხელახლა არის შესაძლებელი კონკურსის გამოცხადება კანონმდებლობით დადგენილი წესით, რასაც უზრუნველყოფს ობსერვატორიის ახლად შექმნილი სამეცნიერო საბჭო.“ მაგრამ სწორედ მათ მიერ არჩეული კანდიდატებით დაკომპლექტებული სამეცნიერო საბჭო გვესახება არამართებულად და ქმედუუნაროდ ობსერვატორიის მოთხოვნილებებთან შეუსაბამობის გამო და ცხადია მათ მიერ ჩატარებული მომავალი კონკურსიც და ყველა სხვა ქმედებაც დიდ პრობლემებს შეუქმნის ობსერვატორიის გამართულ მუშაობას და სამომავლო განვითარებას. აქვე დავსძენთ, რომ 5 კანდიდატიდან 4 არის მუდმივად ან თითქმის მუდმივად საზღვარგარეთ, და როგორ შეიძლება ასეთმა საბჭომ გამართულად იმუშაოს. ჩვენ მივესალმებით უცხოეთში მოღვაწე მეცნიერებთან კავშირებსა და თანამშრომლობას, თუმცა ობსერვატორიის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში ღებულობდეს მონაწილეობას ის მეცნიერები, ვინ მუდმივად ან ძირითადად არიან საქართველოში. ასევე განსუკუთრებით აღსანიშნავია, რომ სტრატრგიული დანიშნულების ობიექტის მმართველ ორგანოში არ უნდა იყოს წარმოდგენილი წლების განმავლობაში ოკუპანტ ქვეყანაში მომუშავე პირი.

ამ და სხვა (ადრე ჩვენს მიერ წარმოდგენილი) მიზეზების გამო, ვთვლით, რომ კომისიამ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, კონკურსი ჩატარდა ხარვეზებით და აუცილებელია მისი შედეგების გაუქმება. <u>განსაკუთრებით აღსანიშნავია კომისიის იმპროვიზაციები: მაგ. თვითაცილების წესთან. თვითაცილების წესი და შინაარსი რომ არ არის განმარტებული სწორედ ამან შექმნა პრობლემა? მას არ მიუღია მონაწილეობა კონკრეტული პირის თაობაზე კენჭისყრაში, მაგრამ მონაწილეობა მიიღო მისი კონკურენტებისთვის ხმის მიცემაში</u> <u>და თუ კომისიის ისეთი წევრი იქნებოდა კენჭისყრისას აცილების ვალდებულება რომ არ ექნებოდა და მისცემდა ხმას, ხომ გახდებოდა 5?!</u> კონკურსის მიმდინარეობისა კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით <u>დარღვეულია საჯარო სამართლის მოქმედების პრინციპი, კომისია არ არის ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც თავად უნდა დაადგინოს კენჭისყრის ფორმა</u> <u>(ეს ითვლება ისეთი ქვემდებარე აქტის გამოცემად, რომელიც გადის იმ აქტის ფარგლებიდან რომლის ქვემდებარეცაა და</u>

ეწინააღმდეგება მას ანუ წესდებაში არ არსებული წესი კი არ უნდა შემოიღოს, უკვე დადგენილი წესის პროცედურა უნდა განსაზღვროს, თუმცა ასაბუთებენ რომ სწორედ ბრძანების დანართების შესაბამისად მოქმედებდნენ.

კონკურსის მიმდინარეობისას გამოვლენილი მთელი რიგი შეუსაბამობები და დარღვევები, როგორც ჩანს, კომისიის წევრების მოწვევის წესის „დამსახურებაა". საერთოდ ვერ უძლებს კრიტიკას ბრძანების დანართი N1-ის, N4-ისა და N5-ის, კომისიის მიერ გაკეთებული ანალიზი. ისინი დაეყრდნენ დანართ N1-ს, რომელიც არის მშრალი ჩამონათვალი მთავარი მეცნიერ თანამშრომლების დასაკავებელი ადგილებისა, მაგრამ არავითარი დაკონკრეტება, არავითარი მიზნობრიობა და კონკრეტულად აუცილებლად შესასრულებელი საქმიანობის აღწერილობას არ შეიცავს. შესაბამისად კომისიას მიეცა შესაძლებლობა თავისი „იმპროვიზაციებით" დანართი N4 -ისა და 5-ის მოთხოვნები გვერდით გადაედო და მიეღო ობსერვატორიის ყოფნა-არყოფნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადაწყვეტილებები და თანაც უფრო ოსტატურად გამოიყენეს ის, რომ კენჭისყრის დროს კომისიის წევრის მიერ ხმის მიცემა არ არის კატეგორიულად შესასრულებელი ფორმით ჩამოყალიბებული და ა.შ.

ჩვენი განცხადების საფუძველი გახდა კომისიის სახელით მოწერილი წერილების ძირითადი დასაბუთება, ხელის გაშვერა ბრძანების დანართებზე. ეს პასუხები, რა თქმა უნდა, თქვენც ჩაგბარდათ და იცნობთ, მაგრამ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე მათგანზე და გთავაზობთ გამოსავალს.

კაპანაძისათვის მიწერილი პასუხიდან :

" სამეცნიერო კვლევაში ჩაურევლად განიხილოს და განსაზღვროს ობსერვატორიის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უზრუნველყოს ამ მიმართულებათა სწორად განხორციელება;

» მოისმინოს და განიხილოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების და ცალკეული მეცნიერების საქმიანობის შედეგები და ანგარიშები, პრობლემატური სამეცნიერო საკითხები, თანამშრომლების სამეცნიერო მოხსენებები, საგრანტო თემების შესრულებისა და სამეცნიერო მივლინებების ანგარიშები;

" განიხილოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (შემდეგში - სამინისტრო) დასამტკიცებლად წარსადგენი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები;

” განიხილოს და დაამტკიცოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისთვის განსახილველად წარსადგენი საქმიანობის წლიური სამეცნიერო ანგარიში;

„ განიხილოს უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან სამეცნიერო თანამშრომლობის საკითხები;

“ ობსერვატორიის მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში.

მოგეხსენებათ, რომ კონკურსის შედეგად მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობებზე არჩეული მეცნიერები შეადგენენ სამეცნიერო საბჭოს. შესაბამისად სამეცნიერო საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული კომპეტენციების წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია მის შემადგენლობაში ისეთი მეცნიერების შეყვანა რომელთა სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა ასტრონომიისა და ასტროფიზიკის მიმართულებით უფრო ფართე დიაპაზონს მოიცავს. მეორე მხრივ, ღია კონკურსის პირობებში სახელმძღვანელო პრინციპად ვერანაირად ვერ მიიჩნევა კონკრეტულ დაწესებულებაში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით პროექტში კონკურსანტის ჩართულობა.

(ვინ მოიფიქრა ასეთი განმარტება კონკურსის ღიაობისა?!, ეს არის სამეცნიერო საბჭოს როგორც კოლეგიური ორგანოს კომპეტენცია, მაგრამ აქ მთავარი სხვა რამეა. საბჭო იქმნება ექს ოფიციო მთავარი მეცნიერ თანამშრომლებისგან, მაგრამ კონკრეტული მიმართულების მთავარი მეცნიერ თანამშრომლის აუცილებლად შესასრულებელი ვალდებულებები თუ არ არის ცნობილი, კომისიამ რა უნდა გადაწყვიტოს, როგორ შეაფესებს ვინ ვისზე უფრო კარგად გაართმევს თავს ამოცანას, თუ ამოცანა ოდნავ მაინც არ არის დაკონკრეტებული?!) სწორედ იმიტომ რომ სამეცნიერო საბჭო არ არსებობს და ახლა უნდა შეიქმნას, გარადამავალი დებულებებით ეს საკითხი უნდა იყოს ზედმიწევნით სამართლიანად დარეგულირებული. უნდა დადგინდეს სამეცნიერო თანამდებობების დაკავების კონკურსის წესი და არა საბჭოს არჩევის წესი გარდა ამისა, სწორედ იმიტომ რომ სამეცნიერო საბჭო არ არსებობს და ახლა უნდა შეიქმნას, წესდების გარადამავალი დებულებებით ეს საკითხი უნდა იყოს (ყოფილიყო) ზედმიწევნით სამართლიანად დარეგულირებული. უნდა დადგენდეს სამეცნიერო თანამდებობების დაკავების კონკურსის წესი და არა საბჭოს არჩევის წესი.)

2. ობსერვატორიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 7 თებერვლის M 03-01/01 ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობის დაკავების პირობები (დანართი M3) არ ითვალისწინებს კონკურსანტის მსგავსი სახის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით შეფასების საჭიროებას/ვალდებულებას.

(ჩვენც მაგას ვაპროტესტებთ, არ ითვალისწინებს და უნდა ითვალისწინებდეს, თუნდაც იმიტომ, რომ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ უნდა დაიდოს შრომითი კონტრაქტი პირთან, რომელსაც დანიშნავს თანამდებობაზე, სადაც კონკრეტულად უნდა გაიწეროს მის მიერ შესასრულებელი მოვალეობები, რაც აუცილებელია სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის. საიდან ჩაწეროს ხელშეკრულებაში ეს დებულებები დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, რომელ აქტზე დაყრდნობით? ისეთი დავლება რომ ჩაუწეროს, რომელსაც თავს ვერ გაართმევს, ხომ იქნება შემდეგ განთავისუფლების საფუძველი და ხომ უნდა ჰქონდეს გაპროტესტების უფლება?!)

რაგული ინასარიძისთვის მიწერილი პასუხიდან:

ვინაიდან იმეორებს უკვე შეფასებულ პასუხს, არ გადავტვირთავთ განცხადების წესს.

დარეჯან ჯაფარიძისთვის მიწერილი პასუხიდან:

„1. ობსერვატორიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 7 თებერვლის M 03-01/01 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესი (დანართი M2) და პირობები (დანართი M3) არ ზღუდავს აპლიკანტს განცხადება შეიტანოს ერთ ან რამდენიმე ვაკანტურ თანამდებობაზე. შესაბამისად, სამეცნიერო საბჭოს შემქმნელი მთავარი მეცნიერი თანამშრომლების შერჩევისას კომისია არ იყო შეზღუდული უპირატესობა მიენიჭებინა ისეთი მეცნიერებისათვის, რომელთა სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა ასტრონომიისა და ასტროფიზიკის მიმართულებით უფრო ფართე დიაპაზონს მოიცავს (ან უბრალოდ ფარავს ობსერვატორიის სტრუქტურული ერთეულების საკვლევ თემატიკას).

(რამდენიმე ვაკანტურ თანამდებობაზე შეტანის დაუშვებლობაზე კი არ ვსაუბრობთ, როცა პირს აქვს კონკრეტული სფერო საქმიანობისა იმ ვაკანსიაზე უნდა დაინიშნოს, რომელსაც უფრო შეესაბამება? კომისიას არ ჰქონდა ასეთი ვალდებულება? პრებლემაც ეგ არის.)

2. „კონკურსში“ მონაწილე მეცნიერთა ატესტაცია“ გაუგებარი და მიუღებელი შეფასებაა ამ შემთხვევაში, როგორც სამართლებრივად ისე შინაარსობრივად, მით უფრო, რომ თქვენივე შეფასებით „წარმოდგენილი შემადგენლობის მაღალი სამეცნიერო შედეგები უდაო“.

(ატესტაციას ექვემდებარება უკვე თანამდებობაზე სწორად შერჩეული პირი და ატესტაცია ამდენად არ გულისხმობს იმ საკითხების კვლევა/დადგენის საჭიროებას რაც აუცილებელია გამოცხადებულ ვაკანსიაზე მისაღებად)

3. კონკურსის წესის (დანართი M2) და კონკურსის პირობების (დანართი M3) თანახმად კონკურსში მონაწილეები არ იზღუდებოდნენ საქართველოს მოქალაქეობის ნიშნით. შესაბამისად, ამგვარი შეზღუდვის არარსებობა სრულ თავისუფლებას იძლევა კონკურსში არა მარტო მონაწილეობა მიეღო უცხოეთში მყოფ მეცნიერს, არამედ ასევე არჩეულიყო შესაბამის ვაკანსიაზე წარდგენის მიზნით. (აქ ერთობლიობაშია შესაფასებელი კონკრეტული დასაქმების ადგილზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით მინიმუმ რა დრო უნდა გაატაროს და შეიძლება ჰქონდეს თუა არა შესაძლებლობა „უცხოეთში“ მოღვაწეობის გამო შეასრულოს ობსერვატორიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. უცხოეთში მოღვაწე ნებისმიერ მეცნიერის მიღწევა და შედეგი საინტერესოა და ღიაა ქვეყნდება, ხელმისაწვდომია და ა.შ. ეს ერთი და იგივე არ არის.

4. კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატთა ობსერვატორიასთან შემხებლობის თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ არჩეული კონკურსანტებიდან გარდა ვასილ გვარამაძისა სხვადასხვა ფორმით (საგრანტო ხელშეკრულების ან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე) ჩართულნი არიან ობსერვატორიაში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

<u>(თუნდაც ის, გვარამაძე რომ შეირჩა და ვისაც შემხებლობა ჰქონდა არ შეირჩა, ან შემხებლობიდან ვისაც კონკრეტულ დარგთან მეტი შემხებლობა ჰქონდა, ის რომ არ იყო სავალდებულოდ გასათვალისწინებელი კომისიისთვის, ჩვენც ამას ვდაობთ).</u>

2. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 7 თებერვლის M 03-01/01 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესი (დანართი M2) და პირობები (დანართი M3) არ ითვალისწინებს სახელმწიფო ენის ფლობის ვალდებულებას. ამასთან, ზემოაღნიშნული კონკურსის წესის (დანართი M2) მე-3 მუხლის თანახმად კონკურსი და მასთან დაკავშირებული საქმისწარმოება წარიმართება სახელმწიფო ენაზე. რაც გულისხმობს კონკურსთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო ენაზე წარმოებას. ამავე წესის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონკურსო განაცხადების მიღებას, რეგისტრაციას, დახარისხებას, საქმეთა ფორმირებას უზრუნველყოფს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ შექმნილი კომისიის სამდივნო, რომელმაც კომისიას განსახილველად აპლიკანტთა განცხადებები წარუდგინა მოქმედი კანონმდებლობისა და კონკურსის წესით დადგენილ პირობათა დაცვით.

<u>(ზოგადად უცხოენოვან მეცნიერთან გარკვეულ ფარგლებში თანამშრომლობა უარსაყოფი კი არა, აუცილებელია, მაგრამ აქ საუბარია შტატით გათვალისწინებულ მუდმივ თანამდებობაზე, შრომით ხელშეკრულებაზე და სახელმწიფო ენის შესახებ კანონზე.)</u>

ვასილ კუხიანიძისთვის მიწერილი პასუხიდან:

1. ობსერვატორიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 7 თებერვლის M 03-01/01 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესით (დანართი M2) და პირობებით (დანართი M3) განისაზღვრა ღია კონკურსი, შესაბამისად, ობსერვატორიასთან შრომით ურთიერთობაში ყოფნა არ წარმოადგენს რამე სახის პირობას კონკურსანტის შეფასებასთან დაკავშირებით.

(ჩვენი წერილების პასუხი უნდა მიგვეღო იმაზე, რამდენად სწორია, მართებულია და ემსახურება მიზნებს გამოცხადებული კონკურსის წესი. პასუხი, რომ არ წარმოადგენს რაიმე სახის პირობას ადასტურებს, რომ ბრძანება „გამართული“ არ არის)

2. ღია კონკურსის პირობებში კომისია არ იყო შეზღუდული კონკურსანტის კანდიდატურა წარედგინა მისი განცხადების საფუძველზე ნებისმიერი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ვაკანსიაზე დასანიშნად.

(ესეც ბრძანების ნაკლია და არანაირად არ არის დამაკმაყოფილებელი პასუხი, აბა სამდივნო რატომ არსებობს?

ამასთან, როგორც სხვა მოსაზრებებთან დაკავშირებით აღვნიშნეთ სამეცნიერო საბჭოს შემქმნელი მთავარი მეცნიერი თანამშრომლების შერჩევისას კომისია არ იყო შეზღუდული უპირატესობა მიენიჭებინა ისეთი მეცნიერებისათვის, რომელთა სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა ასტრონომიისა და ასტროფიზიკის მიმართულებით უფრო ფართე დიაპაზონს მოიცავს (ან უბრალოდ ფარავს ობსერვატორიის სტრუქტურული ერთეულების საკვლევ თემატიკას).

(ესეც იმავე რანგის პრობლემაა, რაზეც უკვე ბევრი მოგახსენეთ.)

4. კანდიდატთა შერჩევასთან დაკავშირებით კონკურსის წესი და პირობები არ ითვალისწინებს კონკურსანტის თეორიული ან გამოყენებითი (დაკვირვება) მიმართულებით მოღვაწეობის ნიშნით უპირატესობის მინიჭების პირობას.
(რატომ არ ითვალისწინებს და უნდა ითვალისწინებდეს თუ არა? ჩვენ ამაზე გვინდოდა პასუხი)

5. კონკურსის შედეგად შერჩეულმა ყველა კანდიდატმა გასაუბრებისას დაადასტურა მათი სამეცნიერო საბჭოს საქმიანობაში სრულფასოვნად ჩართულობის შესაძლებლობა.
(რა ფორმით დადასტურდა და თუ არ იყო კონკურსის წესით სავალდებულო, ასეთი ზეპირი პირობით დასტური რატომ მოითხოვეს, რატომ დააყენეს ეს საკითხი?) ...“

გოდერძი დიდებულიძისათვის მიწერილი პასუხიდან:

„აღსანიშნავია, რომ კონკურსის შედეგად ვაკანტურად დარჩენილ თანამდებობაზე ხელახლა არის შესაძლებელი კონკურსის გამოცხადება კანონმდებლობით დადგენილი წესით, რასაც უზრუნველყოფს ობსერვატორიის ახლად შექმნილი სამეცნიერო საბჭო.

(სწორედ ახლად შექმნილი სამეცნიერო საბჭო თუ შეუდგება საქმიანობას, (წესდებით თუ სამი წევრია არჩეული, საბჭო უკვე არსებობს) მხოლოდ იმათ პოლიტიკურ ნება-სურვილებს რომ შეასრულებს ვისი მფარველობითაც მიიღეს ეს შედეგი, ეს ემუქრება ობსერვატორიის მომავალ საქმიანობას და სამინისტროს უნდა ემსჯელა დირექტორის მოვალების შემსრულებლის მიერ დაყენებული პრობლემური საკითხების თაობაზე და ე.წ. წერილობითი ე.წ. დებატები არ ყოფილა მიზანი)

2. წარმოდგენილ მოსაზრებაში ჩამოყალიბებული მსჯელობა წინააღმდეგობრივია, ვინაიდან ერთ შემთხვევაში (თეიმურაზს ზაქარაშვილის არჩევასთან დაკავშირებით) კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დადებითად არის შეფასებული, მეორე შემთხვევაში კი (რ. ინასარიძის არ არჩევასთან დაკავშირებით) კომისია არა კომპეტენტურად არის მიჩნეული.

(რა არის წინააღმდეგობრივი? გამოცხადებული 13 ვაკანსიიდან მხოლოდ ერთი ადამიანის შერჩევა არ იწვევს ეჭვს, ხოლო დანარჩენი 12-ის შემთხვევაში 4 ის დანიშნა არის პრობლემური და 8 ვაკანსიის ღიად დატოვება კიდევ უფრო პრობლემური. კონკურსის გამოცხადებისას ხელოვნებათმცოდნეობისა და სამართლის დოქტორები რომ არ მიიღებდნენ მონაწილეობას, ხომ იყო ცხადი და ის ვარაუდიც, რომ ობსერვატორიის მოქმედი მეცნიერ-თანამშრომლებიდან უნდა შერჩეულიყვნენ კანდიდატები ვაკანსიაზე? თუ სახელმწიფოს (მისი შექმნილი კომისიის სახით) მიაჩნია რომ ასეთი პერსონალი არ ჰყავს ობსერვატორიას, მაშინ მისი რეორგანიზაციისა და სსიპ-ის სახით დაფუძნების გადაწყვეტილება კი არ უნდა მიეღო, ლიკვიდაცია უნდა მოეხდინა.)

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება. წარმოდგენილი მოსაზრებიდან კი არ იკვეთება, მოსაზრების ავტორის დაინტერესებულ პირად ჩათვლის საფუძველი კონკურსანტების რ. ინასარიძესთან ან თ. კახნიაშვილთან მიმართებაში.

(ჩვენ მოსაზრება (პრეტენზიები წარმოგიდგინეთ თქვენ) ხოლო კომისია პასუხს გვცემს, რომ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი სამინისტროსთვის, თურმე, არ ყოფილა ადმინისტრაციული

წარმოების დაწყების საფუძველი. ეს კომისიის სახელით მოწერილი სამინსტროს პასუხი გვგონია და გთხოვთ შესაბამის რეაგირებას)

გოდერძი დიდებულიძისათვის მიწერილი პასუხიდან:

100 % -ით იმეორებს ვასილ კუხიანიძისთვის მიწერილ პასუხს, ამიტომ პასუხი გაცემულია.

ბიძინა შერგელაშვილისათვის მიწერილი პასუხიდან:

„...3. კონკურსის წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, გასაუბრება ტარდება კონკურსანტის მიერ საკონკურსო განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში ასახული ობსერვატორიის განვითრების ხედვის მიმოხილვის, ასევე, კითხვა-პასუხს ფორმით. აღნიშნული პროცედურა საკონკურსო განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთობლიობაში იძლეოდა კონკურსანტის სამეცნიერო კომპონენტებთან მიმართებაში იძლეოდა ამომწურავ ინფორმაციას. ...

(სწორედ ეგ არის პრობლემა რომ კომისია საბჭოს შემადგელობას კი არ არჩევს ან საბჭოს საერთოდ, ატარებს კონკურსს ობსერვატორიის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის შესარჩევად და დანართი N1 უნდა შეიცავდეს თითოეულ პოზიციაზე მომავალი მთავარი მეცნიერ თანამშრომლის სავალდებულოდ შესასრულებელ საქმიანობათა მინიმუმის ჩამონათვალს მაინც, კომისიას რომ შეეძლოს თუ სურს მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება და რაც მთავარია, მათი პასუხის გასაჩივრების შემთხვევაში გვექნება მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შეფასების კრიტერიუმები. რაც პატარა ხარვეზი კი არ არის, ის ნაკლია რომლის აღმოფხვრის გარეშე შეუძლებელია სამართლიანი კონკურსის გამართვა.)

5. კონკურსში გამარჯვებული კანდიდატების მიერ საკუთარი ხედვების კონკურსის შემდეგ გამოქვეყნების საჭიროებას/ვალდებულებას/პროცედურას არ ითვალისწინებს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 7 თებერვლის M 03-01/01 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესი (დანართი N2) და პირობები (დანართი M3). ... „

ჩვენც იმ ხარვეზებზე მიგითითებთ რომლებსაც თქვენს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი შეიცავს და ვშუამდგომლობთ ამ ხარვეზის გამოსწორების თაობაზე.)

ბიძინა ჩარგეიშვილისთვის მიწერილი პასუხიდან:

1. ღია კონკურსი, კონკურსანტთა მონაცემების შეფასებისას სხვა ზოგად მექანიზმებთან ერთად ითვალისწინებს შეჯიბრებითობასაც, რომლის საფუძველზე, კომისიამ უპირატესობა შეიძლება მიანიჭოს ერთ რომელიმე კონკურსანტს სხვასთან მიმართებაში ან საერთოდაც უარი უთხრას კონკურსანტს დადებითი ხმის მიცემაზე. ამ გარემოების ობსერვატორიის პერსონალის შეურაცყოფად გამოცხადება (რაც ასევე შეურაცხმყოფელია ასევე კომისიის წევრებისათვის) საფუძველშივე სპობს და უპირისპირდება ღია კონკურსის ჩატარების შესაძლებლობას.
რაც შეეხება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს მოქმედი კანონმდებლობით კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს ადგენს შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაცია.“

თავად ამ პასუხში არის გაცხადებული კონკურსის პირობების შეუსაბამობა კანონმდებლობასთან. „კომისიამ უპირატესობა შეიძლება მიანიჭოს ერთ რომელიმე კონკურსანტს სხვასთან მიმართებაში“. გასაგებია, კომისიის ზოგადი ფუნქციაც ეს არის, მაგრამ „რაც შეეხება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს“ სწორედ ამ კრიტერიუმების არ არსებობა ძირშივე სპობს საშუალებას კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/უპირატესობის მინიჭების შემოწმების შესაძლებლობას. ასეთი თავისუფალი ქმედებები არ არის მიმართული ობსერვატორიის განვითარებისკენ, პირიქით აყენებს გამოუსწორებელ ზიანს.“

2. ვერ იქნება გაზიარებული მოსაზრება, რომლის თანახმად კონკურსში გამარჯვებული კანდიდატების სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა არ შეესაბამება მათ მიერ დასაკავებელი ვაკანსიის შესაბამის სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო მიმართულებას.

<u>(რატომ? სად არის დასაბუთება?)</u>

აქვე დავძენთ, რომ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ დამტკიცებული თანამდებობის დაკავების პირობების (დანართი M3) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ. ქვეპუნქტის თანახმად, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე შესარჩევ პირს ერთ-ერთი ძირითად პირობად მოეთხოვებოდა. რომ ჰქონოდა განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები, კერძოდ: ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს მინიმუმ 10 სტატია ასტრონომიისა და ასტროფიზიკის დარგში (და არა რომელიმე სტრუქტურული ერთეულის საკვლევი თემატიკის შესატყვისი) რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში, მათ შორის მინიმუმ 5 სტატია ჟურნალებში, რომელთა იმპაქტ-ფაქტორი მეტია ან ტოლია ერთის.

<u>(კიდევ ერთხელ გავამახვილებთ ყურადღებას რომ კონკურსი სამეცნიერო საბჭოს ასარჩევად არ ტარდება. საბჭოს როგორც კოლეგიური ორგანოს მიღებული გადაწყვეტილებების მეცნიერული შესრულება, სწორედ მთავარი მეცნიერ თანამშრომლის ხელმძღვანელობით დასაქმებულ თემატურ ჯგუფს ევალება და თუ</u>

ძირითად უბნებზე იქნება პრობლემები კოლეგიური ორგანოს უნარი მიიღოს გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით ვერაფერი შვილია>)

საბოლოოდ იმის თქმა გვინდა, რომ მიღებული პასუხებით ხელი დაიბანა როგორც სამინისტრომ, ასევე კომისიამ და ყველა პრობლემა გადმოგაბრალეს თქვენ, როგორც, „სსიპ- საქართველოს ევგენი ხარაძის სახელობის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2020 წლის 07 თებერვლის N03-01/01 ბრძანების გამომცემს (ადმინისტრაციულ ორგანოს/თანამდებობის პირს). აბსოლუტურად ყველა პასუხი დაფუძნებულია არგუმენტზე" **დანართი N1 არ შეიცავს; დანართი N2 არ შეიცავს; დანართი N3 არ** შეიცავს, ან რაზეც არის პასუხი რომ მიღებული გადაწყვეტილება შეესაბამება ბრძანების დანართებს ეს სწორედ ინტერპრეტაციის უსაზღვრო შესაძლებლობებით არის გაკეთებული რაც ასევე სერიოზული სამართლებრივის პრობლემაა.

ამიტომ ერთად-ერთი გამოსავალი არის შესწავლილ იქნას თქვენს მიერ ჩვენს განცხადებაში მოყვანილი ფაქტები და შეფასებები და როგორც აქტის გამომცემმა თანამდებობის პირმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის მესამე ნაწილის პირველი წინადადებისა და 76-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შეამოწმოთ გამოცემული აქტის კანონიერება და მიიღოთ კანონმდებლობის შესაბამისი გადაწყვეტილება.

ბიძინა კაპანაძე

რაგული ინასარიძე

დარეჯან ჯაფარიძე

ვასილ კუხიანიძე

გოდერძი დიდებულიძე

ბიძინა შერგელაშვილი

ბიძინა ჩარგეიშვილი

1 აპრილი 2020 წ.